

## განმარტებითი ბარათი

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საგაბარიტო პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და სატვირთო გადაზიდვების შემდგომი ხელშეწყობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო და შიდა საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების პროცედურების გამარტივება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტი ითვალისწინებს ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო და შიდა საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ხელშეწყობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი არანაირ ფინანსური შედეგს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ დგინდება არანაირი მოსაკრებელი ან გადასახადი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან და კერძო გადაამზიდავ კომპანიებთან, ასევე საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაამზიდავთა ასოციაციასთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასება კანონპროექტს არ გააჩნია

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს მთავრობა.